

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ., —5 მან. 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ.—1 მ. 50 კ., 1 თვ.—50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.



ყოველ კვირეული საზოგადო. მკონო-

მიზრი და სალიბერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 5-7 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевский пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი : ჩვენი ავლადიდება.—**ალ.** ყიფშიძისა. ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე.—**რ.** გესი. სეფ-და მოისა.—**კონსტან** ანდრონისა. მონტეკი და კაპულეტი.—**ფარსმან-ფარუხისა.** კავშირი თუ უკავშიროდ.—**თევდ. ლლონტისა.** საკრედიტო ამხანაგობანი და საშუამავლო ობერაციები.—**კო-ოპერატორისა. პრესა.** ბალკანეთის ომი.—**ა-ისა.** მოწერილი ამბები, ნარევი.

შემდეგი ნომერი გამოვა 11 მარიაშობისთვეს.

ჩვენი ავლადიდება

დღემდის გარკვეული და გაცხრილული ცნობანი არ მოიპოვებოდა ჩვენს ლიტერატურაში, თუ რამდენია ან სახმარი, ან უხმარი მამული საერთოდ კავკასიაში, და კერძოდ ამიერ კავკასიაში. დიდი დანაკლისი იყო ასეთ ცნობათ უქონლობა. ცხოვრების დამკვირვებელი და მკვლევარი აუტანელ გაკვირვებას და ხშირად ფიზიკურ ტკივილს განიცდიდა, რადგან არ იცოდა, რის პატრონი ვართ, რა გვაბადია და საიდან ვმოულობთ „ბურსა არსებობისა“.

ჩვენის ფიქრით, დიდის უნარით და მოხერხებით, შრომით და სიყვარულით ეს აუტანელი და შეუწყნარებელი დანაკლისი ჩვენის დაქვეითებულის ცხოვრებისა შეავსო ჩვენმა

თანამემამულემ არტემ სტეფანეს ძე ფირალოვმა *). იქნება მის გამოკვლევას ამ საგნის შესახებ ჰქონდეს თითო ოროლა ნაკლულევენება, მაგრამ ეს ავტორის ბრალი არ არის. მის მიერ გარკვეულს და გაცხრილულს მასალას იმდენი ბზე, ბუჩო და ნაგავი სდევს თანა, რომ თითქმის შეუძლებელია ამ ჟამად სუუთა ნაკმაზის მიღება. ჯერ კიდევ დიდი ხანი გაივლის, ბევრი კოკა გატყდება წყალზე, ვიდრე ველირსებით ისეთს სამეცნიერო გამოკვლევებს, როგორითაც საესეა მწირ ბუნებიანი, თოვლ-ყინულიანი, სალკლდოვანი და ქაოზიანი პატარა ფინლიანი. რა დიდი ბედენაა ადლი მიწა, მაგრამ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ფინლიანდიაში ვერ იპოვნით ერთს ადლს მიწას, რომლის ვითარება—ღირსება არ იყვეს გამოძიებულ-გამოკვლევული, აღწერილი და შესწავლილი.

აგრონომ ფირალოვის გამოკვლევა დაიბეჭდა პეტერბურგს წრეულს ამ სათაურით: კავკასიის შინა-მრეწველობის მკირე აღწერა (Краткий очерк кустарных промыслов Кавказа).

რას გვიამბობს ეს საყურადღებო წიგნი?

სიგრძე მთაგრეხილისა, სადაც გამუდმებული თოვლი სდევს, 300 ვერსია. აქა სძევს იალბუზი,

*) აგრონომი ფირალოვი სიჭაბუკის დროს თანამშრომლობდა „კავკასიის“ ფსევდონომით ჩვენთან, გრ. ყიფშიძესთან, ღონ-იაგოსთან (ი. ა. მანვეტოვი) და სანოსთან (სტ. კრელაშვილი) ერთად „ივერიაში“ ილია ქავკავაძის რედაქტორობის დროს.

რომლის სიმაღლე უდრის 18,470 ფუტს, ანუ 5,200 ვერსს, აქვეა ჩვენი მყინვარი (ყაზბეგი), რომლის სიმაღლე უდრის — 16,546 ფუტს, ანუ 4,7... ვერსს. კავკასიის უმაღლესს კედლზე აღმართულია მათს გარდა 150 მუდამ თოვლით დაფარული მწვერვალი, რომელთა სიმაღლეც სქარბობს 12,000 ფუტს. მცირე კავკასიაშიც მოიპოვება იალბუხისთანა და მყინვარისთანა ბუმბერაზნი, მაგალითად დიდი არარატი — 16,915 ფუტი და ალაგეზი 13,436 ფუტი. არც არარატს და არც ალაგეზს თოვლი თავის დღეში არ მოშორებია.

საუკუნო თოვლის ხაზი იწყება 12,000 ფუტის სიმაღლეზე ამ ხაზის ზემოდ ბუნება მკვდარია, ორგანიული ცხოვრება თითქმის არ არსებობს და მაშასადამე საუკუნო თოვლიან ხაზის იქით მდებარე ტერიტორია, ვითარცა უხმაური და უვარგისი უნდა გამოირიცხოს სათვალავიდან. იქ მშრომელი კაცი, რაც უნდა ოსტატი იყოს იგი, საზრდოს ვერ იშოვნის.

საუკუნო თოვლიან ხაზის იქით მდებარე ტერიტორიის გამოკლების შემდეგ, ავტორა დანარჩენს ტერიტორიას ჰყოფს ოთხ სამეურნეო ზონად.

პირველი ზონა იწყება 8,000 ფუტიდან და უწყევს 12,000 ფუტს. რვა ათასის ფუტის სიმაღლეზე ვაივავლახით ჰხარობს ტიტველი ქერი, მაგრამ ამაზე მაღლა ეს ქერიც აღარ მოდის. ამ ზონაში მოაპოვება მშვენიერი საზაფხულო საძოვრები იალბუხისი. აქ მუდმივი ცხოვრება შეუძლებელია, მხოლოდ ზაფხულობით, ესე 3—4 თვეს, ძირიდან ამორეკავენ ხოლმე მსხვილსა და წვრილს საქონელს საძოვრად და გასასუქებლად. წამოვა თუ არა თოვლი, ხშირად 10—15 აგვისტოს, მომთაბარენი ნელ-ნელა ძირს ეშვებიან და ზამთარს ატარებენ თბილ ადგილებში, ესრედ წოდებულ საზამთრო საძოვრებში, ანუ ყიბლებში.*)

მეორე მთაგორიანი ზონა იწყება 5,000 ფუტიდან და აღის 8,000 ფუტამდე ზღვის თარაზოზე. სულ ამიერ-კავკასიაში ითვლება 10,693 სოფელი, ამ საერთო რიცხვიდან დაახლოვებით 10—15% სოფლებისა მოდის მეორე მთაგორიან ზონაზე.

მეორე მთაგორიანი ზონა აგრეთვე მდიდარია საძოვრებით. გლეხკაცობა მისდევს საქონლის მოშენებას და თავს ირჩენს წველა-დღევით. ალაგ-ალაგ ხენათესვასაც ეკიდებიან, სთესავენ ქერს, ქვავს, ქერ-პურას და ლობიოს (რუსულად: КОИ-СКИЕ ДОНЫ), მაგრამ ვაი ასეთს თესვას. ხშირი სეტყვა და ნაადრევი ყინვები სელ ერთიანად ანადგურებენ ქინახულს და ხელცარიელზე სტოვებენ მთიულს. ხევსურეთში მაგალითად კაი საქმე იქნება, თუ 3—4 წელიწადში ერთხელ მაინც გადაარჩა ქინახული სეტყვისაგან დაურეგავი, შეუცივნელი. ამ ბოლო დროს მთიულებმა შემოიღეს თურმე კართოფილის თესვა. დიდს შელავათს მისცემს ეს მცენარე მშვიერ მთიულს, თუ მხნედ მოეკიდებიან მის მოყვანას.

მესამე სამეურნეო ზონა მდებარეობს 2.500 ფუტიდან მოყოლებული 5.000 ფუტამდე. ზომიერის ჰავით და ჯანსაღობით ყველაზე უკეთესი ტანი სწორედ ეს სამეურნეო ზონაა. აქაა ბლომად სამთო ველ-მინდორი, აქვეა უხვად მთის ტყეები. ამიტომაც ეს ტანი მჭიდროდაა დასახლებული. ჩვენის ტერიტორიის ამ ტანზე გაჩაღებულია ხენათესვა; მოჰყავთ: პური და ქერი, სიმინდი, სელი; აქვე მისდევენ მებოსტნეობას და მეხილეობას.

მეოთხე ზონა, ანუ ტანი მდებარეობს 2.500 ფუტის დაბლა. ამ დაბლობიან თბილ ტანზე მშვენივრად ჰხარობს ძვირფასი მცენარეულობა მაგალითად: ვაზი, ბამბა, ბრინჯი, სალაფი (КЛЕШЕВИНА) და სხვა.

აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიაში (განჯისა და ბაქოს გუბერნიები) და სამხრეთისაში (ერევნის გუბერნია) ურწყავად ზემოდ ჩამოთვლილი ძვირფასი მცენარეობა ვერა ჰხარობს, ხოლო დასავლეთ ამიერ-კავკასიაში (ქუთაისის და შავი ზღვის გუბერნიები) ურწყავად კარგად ხეირობს, რადგან ჰავა გაუღენთილია სინესტი. ზემოდ აღნიშნულ მცენარეებს გარდა ხეირობს აქ ჩაი ზეთის-ხილი, ბამბუკი, ლიმონი, ფორთოხალი, მანდარინი და ზოგიერთი ჯიშის ბუხა. იმის და მიხედვით, თუ რომელ კუთხეს რა მცენარე უფრო ხეირობს, მკვიდრდება და ფეხს იკიდებს ახალი ტიპის მეურნეობა ჩვენის ქვეყნის ამ ტანზე, ანუ ზონაში.

ა. ყიფშიძე.

(დასასრული იქნება).

* დაახლოვებით ამ ზონაში, ამიერ-კავკასიის ხუთს გუბერნიაში, არის 8,525 ოთხ-კუთხი ვერსი, ანუ 895, 125 დეს.

ილია ჭავჭავაძე და ფ. მახარაძე

სახელოვანი არ გვყავს პატროკლე
სასიხლარი კი ტერსიტი მიწაზედ დაიარება
ილიადა

ილიაზე მახარაძეს და მის ზნე-დაცემულ კომპანიას კიდევ ერთხელ მოუსურვებიათ გამომზეურება თავისი პილწი გულისა და ახლა მიუმართავთ ორი გინალურ საშუალებისათვის — შეცდომაში შეჭყავთ გულუბრყვილო, შეუფრთხილი ხალხი, რომელიც ბრმად აპყვება ხოლმე თავის გალაღებულ ბელადებს და აწერინებენ პროტესტებს. რასაკვირველია, ს. დემოკრატიული ბელადები დაჩვეულნი არიან დემაგოგიურ სიყალბეს, რადგან ხელობათა აქვთ გადაქცეული ხალხის გაბრიყვება იქ, სადაც სიმართლით ვერას ხდებიან, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მოკლული მგოსანი, რომელიც მსხვერპლად შეეწირა ფ. მახარაძისთანა ხალხის უვიცობას — დღესაც არ პოულობდეს მოსვენებას საფლავში.

ჯერ იმ შავბნელ დროს, როდესაც მთელი ერი აღშფოთებული იყო უმაგალითო, უმზავს მკვლელობით, როდესაც მთელ საქართველოს ბინდი გადაეკრა და გული დათოთქული ჰქონდა — გონება ვერ ურიგდებოდა იმ შემზარავ გარემოებას, რომ მოიპოვებოდნენ ისეთი პირები, ჯგუფები, რომელნიც ამართლებდნენ, ან უსიტყვოდ ურიგდებოდნენ ამ მკვლელობას. ჯერ მაშინვე გაისმოდა ხმები, რომ ეს პარტიული მკვლელობა იყო, მაგრამ არც ერთ შეგნებულ ადამიანს არა სჯეროდა ასეთი უხამსი ბრალდება მთელი პარტიისა და მაშინვე ცხადი იყო მხოლოდ, რომ შეუგნებელი ნაწილი ამ პარტიისა, ერთი ჯგუფი მისი, იზიარებდა ამ მკვლელობის ბრალსა. ეს ისეთი მეხის დატება იყო მაშინ, რომ შესაძლებელია, ბევრმა გადააქარბა კიდევ თავის სიფიცხეში; მაგრამ როდესაც დღეს, შვიდი წლის შემდეგ, ფ. მახარაძე და მისი ამქარი იმეორებს იმავე ცილისწამებას ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, როდესაც დღესაც თითქმის ამართლებენ ამ სასიხლარ მკვლელობას — ჩვენ იძულებულნი ვართ ვიფიქროთ, რომ შემქმნელნი ილიას მკვლელობის იდეისა და დამზადებელნი — სწორედ ს. დ. იყვნენ.

რაღა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე, როგორც კერძო საკუთრების პრინციპის მომხრე და მემამულე, დაიცავდა თავის მამულს, გაუმკლავდებდა იმ აზრის გამარჯვებას, რომელიც წინააღმდეგი იყო მისი შემეცნებისა, მაგრამ ჯერ არავის არსად და-

უმტკიცებია, რომ ამ თავდაცვაში მას რაიმე სისასტიკე ჩაედინოს ან გლეხების დარბევა მოეწადინებინოს. ცლისწამება სწორედ ამაში არის და ფ. მახარაძის დაბეჭდილი კორესპონდენცია, საცა მას ავაზაკად გამოჰყავდა იდეური დამცველი კერძო საკუთრებისა — სწორედ ის სტიმული იყო, რომელმაც მოაკვლევინა დიდი ილია.

არც ერთი ადამიანი არ არის უნაკლო. დიდბუნებოვან ადამიანთ ზშირად დიდი ნაკლებიცა აქვთ, მაგრამ მათი დასჯა სიკვდილით არამტოვ ისეთივე უაზრო, მხეტური საქციელია, როგორც ყოველ უბრალო ადამიანისა, არამედ ერთი-ათად მეტი. ადამიანს უფლება არა აქვს შეგნებული, პრინციპიალური მოწინააღმდეგე დასაჯოს სიკვდილით რწმენისათვის და ამისათვის იბრძვის მთელი კაცობრიობა, მთელი ქვეყნის დემოკრატია, როცა მოითხოვს სიკვდილით დასჯის მოსპობას, — და რა იყო, თუ არ სიკვდილით დასჯა, ილიას მკვლელობა? არა, ეს უბრალო მკვლელობა არ იყო, არ იყო გამოწვეული აღშფოთებით, ან პირადი ჯავრით — არა — ეს დასჯა იყო, სიკვდილით დასჯა და აი რა — ში აქვს ბრალი ფ. მახარაძეს. იმ დროს, როცა ადამიანის სიცოცხლე გროზად ფასობდა, როდესაც კერძო საკუთრების ყველა მომხრე, იდეური თუ ანგარებითი, დამნაშავედ ითვლებოდა სოციალისტურ წრეებში გამოდგა მახარაძე და ამტკიცებდა, რომ ილია ჭავჭავაძე არა მარტო პრინციპიალური მომხრეა კერძო საკუთრებისა, არამედ სასტიკი, ბოროტი მისი დამცველი, ჯაშუში და ავაზაკი. რაღა თქმა უნდა, რომ შეუგნებელ ადამიანისათვის ეს საკმარისი წასაქეზებელი მიზეზია მკვლელობისათვის და ნამეტნავად იმ დროს, როცა მემამულის მოკვლა სიყოჩაღეთ ითვლებოდა. და იმის დასამტკიცებლად, რომ ეს მკვლელობა უბრალო კი არ იყო, არამედ შეგნებულად მომზადებული და „პოლიტიკური“ ხასიათისა, რომ იგი დასჯა იყო იდეური მოწინააღმდეგისა — ისიც კმარა, რომ მკვლელები „შეწუხებულნი“ გლეხები კი არ იყვნენ, არამედ ვიღაც სხვა, გარეშე წრეებიდან გამოსულნი. და მათი იდეური სულის ჩამდგმელი (подстрекатель) იყო ფ. მახარაძე.

ჩვენ იმასაც კი ვერ ვიტყვით, რომ ფ. მახარაძე შეუგნებელი დამნაშავეა, რადგან იმდენი ჭკუა თუ ჰქონდა მაშინ, რომ შეუგნებელ ბრბოს ხელომდღვანელობდა, ისიც კარგა უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული, თუ ისეთს მზაკვრულს ბრალდებას რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. გარდა ამისა, განა ეხლანდელი მისი და მის ამხანაგთა განგაში, ეხლანდელი განმეორება ცილისწამებისა, არ ამტიკებს იმას, რომ ისინი დღესაც იმ აზრისანი არიან, რომ ილია სამართლიანად მოჰკლეს, მის მიერ ჩანადენ (?) დანაშაულისათვის? განა ის, ჭკუას და აზრს მოკლებული პროტესტები, რომლებსაც აწერინებენ ვილაც გაქსუებულ მუშებს, არ ამტიკებენ, რომ დღესაც მოიკვლებოდა ილია, რომ ამ მკვლელობის განმეორება შეიძლებოდეს? განა ისინი, ვინც მკვლარს არ ასვენებენ საფლავში, შესდგებოდნენ იმის მადლით მოსილ ნიქის წინაშე და იტყოდნენ: შენ, მართალია, ადამიანური ნაკლები გაქვს, მაგრამ მაინც პატივსა გცემთ, როგორც ღირსეულს?

არა, ისინი დღესაც გაუგმირავდნენ მას გულსა, რადგან ფანატიკოსური უმეცნება, რომელიც მით უმეტესად იპყრობს ადამიანს, რაც უფრო დაბალ საფეხურზედა სდგას იგი განვითარებისა და შეგნებისა, — დღესაც უკარნახებს: არავითარ საშუალებას არ მოერიდო შენი მიზნის მისაღწევად. და როდესაც ნამდვილი, ევროპიელი დემოკრატია მუხლს მოიდრეკდა დიდი მგონის წინაშე და ეტყოდა: მირონცხებულო, ნაკლნი შენნი ჰქრებიან შენის შარავანდელის ბრწყინვალეობაში, ჩვენებული შეუგნებელი, გაბოროტებული და მართო შურით აღჭურვილი „მუშათა პარტია“ (აფსუს სახელო) ეუბნება მუშას: წვრიმალი მიზნისათვისაც კი არ დაინდო დიდებული ადამიანი. ეგრეც უნდა იყვეს: იდეა, სამუშაო იარაღსა ჰგავს — ჭკვიანის ხელში ხმარდება სასარგებლო საქმეს და ბრიყვნი ხელ-ფეხს წარიკვეთენ, ან სხვას დაასახიჩრებენ.

სხვასთან ერთად ჩვენც ვაცხადებთ ჩვენს გმობას და ზიზღსა იმ პირებისადმი, რომელნიც ილია ჭავჭავაძის წმინდა სისხლსაც არ ინდობენ და თავიანთ პოლიტიკური მლიქვნელობის იარაღად ჰქმნიან.

რ. გ.

ს ე კ დ ა მ თ ი ს ა

(ფანტაზია)

I.

ამართულა, ახოზილა მთა მალადი, და ამაყად, მუდმიურად გადმოსტეკერის კეკლურ ხალხად გაძლიდა ბარსა. მუდმივის თოვლითა და დრუბელთა ხროებით და გვირგვინებული, უძრავათა სდგას და მისი სიდიადე ამ ქვეყნიურ სტიქიონს არ უშინდება, არ ედრიება და არც კითხნილება.

დაღვრემილა... ზირქუშად უმსერს არე-მარესა... არვის უზიარებს კლდე გულში ჩამარხულს იდუმალბასს.

სეკდის ნისლით მოცული, მზის მხიარულ სხივებსაც-ი ნადვლით ჰმოსაგს და მოედვარე ვარსკვლავანი ხომ მისი მწუხრის მოსახნი არიან.

ღამის მნათობთა მკრთალი ნათელის ჰანგი ნახსუსვით ეგლინება, საუკუნეთა მიმდინარებაში აღზრდილს კლდეებსა და ნაწი სითა ამ ნადვლიან ნახს მთელს სამყაროს ასმენს.

ამ სეკდის ჰანგით დამთვრალი ბუნება მიუჩნებულა, განაბულა, სმენად გარდაქვეულა: — ვით გაჭბედოს მოხუც მთის შუწუხება? ხომ განრისხდა, ხომ წარმოგზავნა სკაცამ, მთის მთვარეულმა, რისხვა! ხომ წალეკა ბარი! ხომ განანდგურა და მიფელით-მიფელითა ეფრადი ხალხი კმელუჯ ბარისა?

მორჩილია ბარი მთისა... მუდმივ მის შუბლს შესტეკერის; უოველი ნაკვით ამ შუბლისა მანკეუბელია მთის ტუნებისა და ბარიც იძულებულია ამ ნაკვითა მოძრავას თვალი ადვენოს.

ვერა, ვერ გაჭბედავს ურსობას!

მთის სეკდა, სეკდა არის ბარისა;

მთის ნადვლი ნადვლია ბარისა;

მთის მწუხრი, — ბარის მწუხრია.

სეკდა მთისა!..

ბარმა იცის, იცნობს სიძლიერეს ამ სეკდისს. რამდენჯერ დასტემა ნადვარი ცას მობჯენილ მთის ცრემლთა ნაკადისა; რამდენჯერ გაუზია ამ ნადვარს მკერდი ბარისა და რამდენჯერ წაუღეკია მისი გული!

ახა ვინ მოსთვლის? ვის შესწევს ამისათვის ჭკუა და აზრი?

იცის ბარმა გემო მთის ცრემლებისა, იცის!

მაგრამ ბარი როდია მესაიდუმლე ბუმბერაზ მთისა:

მთა ამაყია, — ბარს თავს როგორ გაუყადრებს, როგორ ეტუვის თავის სეკდას, ვით გაუზიარებს; და თუნდ

გაუზიაროს კიდევ, სდ შესწევს ძალა კვლევად აბიბი-
ნებულს და მხარულს ბარს მთის ნაღველის სიმძიმის
ატახისა?

მთა ძლიერია, — აბა, ბარი მას როგორ შეედარე-
ბა?

მისი შკერდი კლდეა სალი, მაგარი, — ბარის-კი
ღბილი დედაშიწა.

მთა მალაღია, ცამდე ასული, — ბარი-კი მთის ფეხ-
თა ქვეშ გაშლილი.

განა გაიგებს ბარი მწუხრის მთისას, შეიგნებს?

და რომ შეიგნოს, განა აიტახს?

არა! არა! სდ შეუძლიან!

მთა ზეცას ესუბრება, ზეცისკენ მიუშართავს ვედ-
რება, ზეცას შეჭდრილებს სევდას კლდე, შკერდში და-
მარხულს, ზეცას აჩვენებს ცმცხლას გულისას.

ზეცა?

ზეცამ იცის, გაგებული აქვს მთის სევდის სატანი:
მთის ღაღადმა მიაღწია ზეცამდე.

შეიგნო ზეცამ მწუხრი მთისა;

მიხვდა მის ტანჯვას, მის ვაებას;

სცნო, რამაც გაუჭაღარავა თავი;

შეიტყო, რამაც აურიო შკერდში ცმცხლი

შეთვისა ზეცამ მთის ნაღველი, მწუხრი და სევდა; —

და აკი ამიტომაც დაჭხურა მთის ჭადრას ღრუ-
ბელთა ჯილა,

აკი ამიტომაც გააკვლევდა მთის მოხაზულობა;

აკი ამიტომაც მოჭმართა სევდიანად მნათობთა სი-
ნათლის ჩანგი;

აკი ამიტომაც მიიზიდა მთა, ზე ასწია და სიბრა-
ლულით გულში ჩაიხუტა.

მაგრამ რა?

არ გაქარწულდა სევდა მთისა,

არ მოისპო იგი,

არ მოსცილდა ნისლი მწუხრისა,

არ გაბათილდა ტანჯვა მთისა,

არ შესწევდა დენა ცრემლთა ხაკადის ნიაღვარისა; —

კვლავ იყო და არის!..

ასეთია სევდა მთისა. .

2

გაშლილ ბაღში, ხის ძირში, სასვე მთვარის შუქს
შირს არიდებენ შეუვარებულნი.

ბედნიერნი, მარტოდ შთენილნი, დუმილით შეს-
ცქერიან ერთმანეთს და მათი სახის ნაკვთი შეტუველო-
ბენ დიად ძალას სიუვარულისას.

ეს წუთია მათთვის წუთი მალაღ გრძობის გან-
ცდისა.

რათ უნდათ სიტუვანი?

დუმილი მათი სიტუვებზე შკერ-მეტუველია: — ან-
თუბულ თვალთა ელვარება გამოითქმელია მათ გულთა
ნეტარებისა:

ბაკეთა დიმილი? დიმილი ხომ გვირგვინია უძვირ-
ფასესი შეუვარებულთა შეიფერ და ციურ განცდისა.

— შე და შენ; სხვა არავინ, შეტუველობენ სსხენი
შეუვარებულთა.

— დღეს ჩვენ დიადნი ვართ, ამობს ბაკეთა დი-
მილი; ტახტი დავიდგით და ზედ მუედროება და ნეტა-
რება დავაშვიდრეთ ჩვენთან ერთად. აბა, გაიხსენე რის-
გან, რა მასალისგან აშენდა ეს ტახტი? რითი შეაკო-
წიწეთ ხაწილი ამ შენობისა, რომელზედაც ჩვენ ფეხი
მოვიკიდეთ და რომელიც იქნება სამუარო სამარადისო
ჩვენი სანეტარო სიუვარულისა! განქრა უოველი! აღარ
არსებობს ჩვენთვის სევდა!.. ჩვენ შევეთვისეთ ერთმა-
ნეთს, შევევრდით, შეუზავდით, რა განვიცადეთ ზრახ-
ვანი ჩვენი გულისა... ერთხელ შევიქენით და აწ ჩვენ-
თვის, ჩვენს შეფურის უოფისთვის გამშვენდება მთელი
ბუნება. უოველი არსი ჩვენ დაგვემორჩილება, ჩვენს
შკვიდრ ტახტთან მოვა, მუნდს მოიფრის, მოიტანს
მსხვერპლს, ანთებს, აბოლებს და ამბრის სურნელოვან
ნებას ცელქი სიო ჩვენამდე წარმოიტაცებს...

ჩვენთვის აკოვრდება ვარდი გაზაფხულისა;

ჩვენთვის დასტვენს და დაჭქეფს ბუღბული;

ჩვენთვის ამწვანდება აბინდდება ჭკვილი და ჩვენ-
თვის-კი დაზურდება იგი;

ჩვენთვის!

ჩვენთვის დაისხავს განებივრებული ყაზი მტევანს
ურძისას, ჩვენთვის დამწიფდება და ჩვენთვისვე და-
დუღდება წითელ ღვინოთ.

ჩვენთვის აღიჭურვება იგი ღვინო ძალითა თვისი-
თა, ჩვენთვის კარდიქტება იღუმალ ბალსამოსად და ჩვენ-
თვისვე შეითვისებს ძალას სანეტარო დათრობისას.
ჩვენთვის დაჭხურავს ზეცა თოვლის საბანს გაცნებულ
დედამიწას, ჩვენთვის გაუთბობს მას გულ-შკერდსა, ჩვენ-
თვის გაუხურებს მას, რათა კვლავ წარმოგვიტახავს
ნაყოფი ძალისა თვისისა.

ჩვეეთვის, ჩვენთვის, მხოლოდ ჩვენთვის!..

— აწ-კი ვიკვლევრებთ, შეტუველობენ მათი თვა-
ლები; განქრა ჩვენი მიბნედილობა; ავინთენით სიუვარუ-
ლის კოცნით! ჩვენ შეგვიძლიან შევეცილოთ ცის მნა-
თობთ, ელვასაც-კი რაღა ჩავაქრობს? დეე დაბნულეს,
გარდაქტენ უგუნეთად ის ქვეყანა: — ჩვენ გაკვლევთ
წევდიადსა, გავაბრწეინებთ! ნეტარების ცმცხლს წაუგვი-
დებთ და სიუვარულის ღამზრად დავენთობით, ჩვენ ხომ
დავწვით, ფერფლად ვაქციეთ სევდა ჩვენის გულისა; ხომ

კავანადგურეთ მწუხრი სულის ჩვენის; ხომ კავაბათი-
ლეთ ნაღველი ჩვენის სურვილისა?..

და ასე, ამგვარად აღგზნებული და აღტაცებული
მათი სახენი გამოსთქვამდნენ ბედნიერებას.

ერთ ჰიმნად ამღერდნენ, მძღავრ ხმებად ახმაურ-
დნენ შეეგარებულთა თვალნი ნათელნი, ღიმილნი სსა-
მურნი და გაშლილ სახეთა ნაკვთინი...

— შერე, როგორ მოხდა, რანაირად. ვით შეიგენი
შენ ჩემი შენდამი მისწრაფება, ეკათება გული ვაჟისა
გულს ქალისას; ჩემი სევდა ვით შეიტყე, როგორ გა-
იგე ჩემი მწუხრი, ან ვინ მოგითხრო ჩემი ტანჯვის
ამბავი?

— შენმა სახემ, უპასუხებს ქალის თვალები. ოდეს
გიმზერდი, გაკვირდებოდი, თვალს ვადევნებდი შენს სა-
ხეს. სარკესავით აღბეჭდილიყო მასზე ზრახვანი შენი
გულის. მე ვინებდებოდი ამ სარკეში, ვინებდებოდი და
ვხედავდი იმ სევდას სიუვარულისას, რომლითაც დღეს
ლიყო შენი სული. ბაკენი შენნი დაშწურებულნი, გამ-
შრალნი და ერთი მეორეს მიკრობილნი, არ ისვროდნე-
სიტუვას, არა! დადუმებულნი მეტყველობდნენ. ახ რად
შეუძლიან სიტუვას სთქვას ის, რასაც შენი ბაკეთა ღუმი-
ლი ამბობდა; რად შეუძლიან? თვალნი შენნი ნახევრად
დახუჭულნი, მიმჭრალნი, მიხნდილნი შენის გულისკენ
ოდნავის შუქით გზას მინათებდნენ და მეც ჩაცვდი და
ვინილე შენი სევდა...

— ვიცი, ვიცი, ამბობს ღიმილი ვაჟისა, ესლავი
ვიცი: ჩემმა სახემ გამცნო უოველისფერი ანა?

— ჰო, შენმა სახემ!..

და კვლავ ამღერდნენ ჰიმნითა სამურითა შეეგარე-
ბულთა სულნი და უძღვენეს ჰიმნი იგი ბედნიერი და სს-
ნეტარო დიადს ძაღას სიუვარულისას.

შეიმცნეს სევდა ერმანტოსა და სიუვარულის ძლიერ
ცეცხლზე დასწვეს იგი სევდა; ფერფლად აქციეს და მის-
ტეს ნიაგ-ქარს ზღვაში ჩასატანად; ზღვაში, რადგანაც
ზღვა საღარო და ბუდე სევდისა.

კვლავ გაშლილ ბადში, ხის ძირას, სასიკეთო მთვარის
შუქს ზირს არიდებენ შეეგარებულნი... და გალობენ, გა-
ლობენ, გალობენ...

3.

ესმა ეს გალობა ამჟღად მოსას;
მიადწია აღტაცებულმა სიმღერამ ბუმბურაზ მთამდი.
მთის ჭადარამდე წარიტაცა ცელქმა ნიაგმა გრძო-
ბანი შეეგარებულთა და ჰიმნი იგი სსამური, შეთხზული
დიად სიუვარულის ძალისათვის.
ისედაც შეკრული შებღი მთისა, უფრო შეიკრა,
უფრო ჩადრმავდა...

დაფიქრდა მოხუცი... დაუკვირდა მეტყველობას შე-
ეგარებულთა სახეებისას.

ნისლი სევდის უფრო გახშირდა.

ზეცამ იგრძნო მთის მწუხრი და დაფიქრება და
უფრო მხურვალედ ჩაიკრა გულში.

ჩამოუშვა დრუბელთა სროვანი და საბანსავით გა-
დაჭხურა.

ღამეც მოიღუშა...

მთოვარე ჯერ გაწითლდა, შერე სრულიად მიიძალა
და მნათობნი გარსკვლავნი, ისედაც მერთალნი, მთლად
ჩაჭქრენ.

დაუეხდა, განიბა ბარი.

მთამ ამოიქმინა, ამოიხრა და მკერდი კლდის
აამოძრავა.

ასტულა ქარი, იელვა, დაიგრილა ზეცამ; მთის
ჭირისუფალმა ნისლმა უხვად გადმოახტია ცრემლნი.

ამეტყველდა მოხუცი მთა და გაისმა მისი დაღადი.
და მოედო ეს დაღადი მთელს ბუნებას.

ოკახე მოემზადა ბანის მისცემად, და გაისმა ჩი-
ვილი მოხუცის მთასა:

— სევდა! სევდა!

შემდეგ ვედრება:

— ძაღავ, ძაღავ ციურო, მომეცი მხარი ადამია-
ნისა, მომზადლე ნიჭი უსიტუვით მეტყველებისა, ნიჭი
ჩემი სევდის გამოთქმისა; მომეცი ჭილღოთ საუკუნეთა
ტანჯვისა ხატება ადამიანისა!

ახვირთდა ოკახე, აგორა ტალღები და ერთთ ბა-
ნი მისცა მთის დაღადს.

ბარმაც წვრილა ხმით კლიმანტური უთხრა, და მის-
ცა მძღავრა სიმფონია მთელის ბუნებისა:

— „მოჭმადლეთ, მოჭმადლეთ, ძაღანო ციურნო“.

.
.

დიდხანს, დიდხანს იყო ღამე მოღუშული, მთოვა-
რე შიმალული, გრსკვლავნი ჩამჭრალნი დიდხანს, დიდ-
ხანს გაისმდა დაღადი მთისა. და დიდხანს განგრძობ
ბუნებამ ვედრების სიმფონია...

ერთხელ კიდევ საზარლად დაიჭქა, გაიელვა, დაჭ-
ბურა გრივალმა, მიჭუნატ-მოჭუნატა დრუბელნი;

ზღვამ უკანასკნელად დაიბოხა, ბარმაც შესწვეიტა
ტუბილი კლიმანტური, მთამ კვლავ ამოიხრა და გადმო-
ახოხია ცრემლთა ნაკადი.

შესწევდა სიმფონია...

ზეცა გაღურჯდა; მთოვარემ და ვარსკვლავებმა ფე-
რი დაჭკარკეს, რადგანაც ამამავალმა მშემ ვევე წარმო-
გზაუნა თვისი მიკრაინი და გაასისხლისფერა ადამისავე-
თის მხარე ზეცისა.

გაშუქდა არე შარე.

და იქ, სადაც აშართულიყო, ახოზილიყო მთა მადალი, ამაყად, გართოზად, შედიდურად ცას მიბჭუნელი, და გადმოსცქეროდა კეკლეუც ხაღინად გაშლილს ბარსა, — ეხლა გამოირკვა უზარმაზარი სახე ადამიანისა.

ამაგი მუბლი მთის ადამიანურ სახისა ჩადრმავებულიყო სრამებთ; თვალთა ადგილებიდან სჩქეფდა ცივი ნაკადი, და ბაკენი მოკუქმქელნი მტკეველობდნენ კაჟანსა და სევედას.

მაგრამ ვინ, ვინ გამოიტნო სევედა მთისა, ვისი თვალნი ჩასწვდნენ მის გულსა და ვინ ამოიკითხა სურვილი და მისწრაფება მთის გულისა?

ჯერ არავინ!

არ გაქარწეულდა სევედა მთისა,

არ მოისზო იგი,

არ მოსცილდა ნისლი შწუნისა,

არ გაბათილდა ტანჯვა მთისა,

არ შესწედა დენა ცრემლთა ნაკადის ნიაღვარისა.

კვლავ იყო და არის!

წინათ, როდესაც მადალი იყო და ჭადარა მისილი, ზეცას მაინც ეხეტებოდა გულში, — ეხლა-კი მიიღო რა ხატება ადამიანის სახისა, დადაბლდა და დარჩა დადგრემილი თავის კლდე-შკერდში ჩამარხულ სევედის იდუმალობასთან ერთად.

ასეთია სევედა მთისა.

კონსტან ანდრონი.

სოფ. სასირეთი
1913—VII.

მონტეკი და კაპულეტი

ოდესღაც იტალიაში, სადაღაც ვერონაში თუ ფლორენციაში სცხოვრობდა ორი ოჯახი გაუთავებელის შულლით, დავიდარაბით და ჩხუბით.

მოდგმა მოდგმას მოსდევდა, ერთნი ბერდებოდნენ, მეორენი იზრდებოდნენ, ასე გასინჯეთ მათ შორის სიყვარულის ისტორიაც კი იჩენდა ხოლმე თავსა, მაგრამ რალაც იყო საბედისწერო მათ ურთოთობაში...

დავა არ თავდებოდა

მათ იცნობდა მთელი ქალაქი

სურდათ მათი შერიგება, მაგრამ მონტეკი და კაპულეტი, ორი ოჯახი, არ რიგდებოდა.

ამ მონტეკის და კაპულეტის მაგონებენ ქართული სოციალ-დემოკრატები და ფედერალისტები.

თბილისი ვერონა არ არის, საქათველო — იტალია, მაგრამ მონტეკი და კაპულეტობა ჩვენი დამახასიათებელი თვისებაა.

განა გ. ერისთავის პიესა „დავა“ იგივე მონტეკი და კაპულეტი არ არის.

კლასიკური მაგალითი იმავ გ. ერისთავის პიესა „გაყრიდან“ — მუთაქის გაყოფა — განა იგივე მონტეკი და კაპულეტობა არ არის?

ჩვენი ოჯახები წარსულში დავამ დაღუპა. ერთი ჩანახისავის სენატამდის მიდიოდნენ. მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ ოჯახური ზნე-ჩვეულება ასე მართლად გადავიდოდა დიდ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აიღეთ ჩვენი პრესა,

აიღეთ ჩვენი დაწესებულებანი,

აიღეთ ჩვენი პარტიები...

მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება დაუსრულებელი „დავა“ და „გაყრა“ არის.

ქურდო!

ჯაშუშო!

პროვოკატორო!

ბურჯუა!

ზუბრო!

რეაქციონერო!

სამშობლოს გამყიდველო!

იუდა!

აი, კომპლიმენტები, რომლებითაც ამკობენ ერთმანეთს ჩვენი მონტეკი და კაპულეტები.

არავის არ სურს თავისი უპირატესობა საქმით დაამტკიცოს.

აჩვენოს ხალხს თავისი რეალური ძალა, აჩვენოს ის ბაწარი, რომლითაც არის გადაბმული იგი ხალხთან, მის სულის კვეთებასთან.

იცვამენ კარტანის ჯავშანს, იხურავენ შაქრის ქალაღლის ჩაფხუტსა, ხელში უჭირავენ ბუტაფორული ხმალი ისტორიულის დრამისა და ერთმანეთს „სჩეხავენ“.

„სჩეხავენ“ უწყალოდ, ჰკლავენ უდანოთ, როგორც ოპერეტაში, სენატამდის მიდიან ერთი ჩანახი პურისათვის, აწერინებენ სხვა და სხვა „შეგნებულ“ მუშებს და გლეხებს პროტესტებს, — სწორედ ისე, როგორც რუსეთის სტრიაპჩები უწერდნენ ჩვენ მემამულეებს არზებს; უხმობენ მედიატორებს და თავისი დავიდარაბა საზოგადოებაში გამოაქვთ.

და საზოგადოებაც ისმენს მათ „წუწუნს“.

მარტო ამას ხედავ, როცა სოციალდემოკ-

რატების და ფედერალისტების პრესას კითხულობ.

ვინ არიან ს. დემოკრატები და ფედერალისტები?

„უძლიერესი“ პარტიანი ჩვენში.

სწორედ ისე, როგორც ვერონაში ყველაზედ პატივცემული და საყვარელი ოჯახები მონტეკი და კაპულეტი იყვნენ.

კაპულეტი რომ მომკვდარიყო, მონტეკი მეორე დღეს გარდაიცვლებოდა.

ასე მაქვს წარმოდგენილი ფსიხოლოგია ამ ორი გვარისა.

და ეს აღვილი გასაგებია.

მათ სხვა მიზანი არაფერი ჰქონდათ, გარდა ერთმანეთთან ჩხუბისა.

ამიტომ ისინი სცდილობდნენ მუდამ „ეცხოვრათ“ მუდამ სიცოცხლის ნიშან წყალი ჰქონოდათ:

— დაანთე ბუხარში ცეცხლი! ეუბნებოდა მოხუცი მონტეკი პაპანაქება სიცხეში თავის მოსამსახურეს.

— ცეცხლი? ამ სიცხეში... ჰკვირობდა მსახური.

— დიახ ცეცხლი! დეე, იცოდეს კაპულეტიმ, რომ ჩემს ბუხარში კომლი არ გიმოილევა.

მართალია, ამ დიალოგს თქვენ ვერ ნახავთ იმ პიესაში, სადაც მონტეკისა და კაპულეტის დავა აქვს გამოხატული შექსპირს, მაგრამ ასეთი დიალოგი ფსიხოლოგიურად ძალიან წააგავს მათ ჟინიან აზროვნობას.

ასევე სწაღიან ჩვენი ს. დემოკრატები და ფედერალისტები. მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება პაპანაქება მზეა, ჩვენი პოლიტიკური გორიზონტი მუდამ არ იძლევა საბუთს ჩხუბისას და დავიდარაბისას, მაგრამ ფედერალისტები და ს. დემოკრატები მაინც პაპანაქება სიცხეში ბუხარს ანთებენ.

რათა?

— იმიტომ რომ მტერმა იცოდეს!

საქართველოში სიჩუქა. ლაპარაკობენ კოოპერაციაზედ, მელიორაციაზედ, სწავლა-განათლებაზედ, კულტურულ ზრდაზედ, ყველა ამისთვის საჭიროა ზომიერი ტემპერატურა და ჩვენი მონტეკი და კაპულეტები გამოდიან და სწორედ ამ დროს ანთებენ თავიან „ფეხებს“.

დგება სიცხე, პაპანაქება, ადამიანები იხრჩობიან, ქალებს გული უწუხდებათ და მონტეკისა

და კაპულეტის ბუხრებიდან კი „სიცოცხლის ნიშან წყალი“ კომლი ამოდის.

ფარსმან-ფარუხი.

კაპულირში თუ უკაპულიროდ?

„სახალხო გაზეთი“-ს 9 ივლისის № 938-ში მოთავსებულია მცირე წერილი „სინამდვილის ფარგლებში“, ჯურყვეთის (გურია) საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულის, ბ. ი. გორდელაძისა. წერილი იმდენად საყურადღებო საგანს ეხება, რომ ყოველად შეუძლებელია მის შესახებ ორიოდ სიტყვა არა ვსთქვათ.

საზოგადოთ, საკრედიტო კოოპერაციის საქმე მთელს საქართველოში ისეთ ცუდ პირობებშია ჩაყენებული, მისი მდგომარეობა იმდენად შერყეულ კრიტიკულია, რომ მით თვით საკრედიტო კოოპერაციაზე—როგორც იდეაზე—ხალხი თან და თან ყალბ შეხედულებას იღებს. საკრედიტო კოოპერაციებს, სასოფლო ბანკებს, ხალხი თან და თან ალმაცერად უყურებს, ბანკის საქმე ხალხს სასხვაო საქმედ მიაჩნია, ბანკს ხალხის საქმე არ აინტერესებს და ამ რიგად ურთ-ერთისადმი არასასურველ განწყობილება-დამოკიდებულებით ითხრება მათ შორის უფსკრული, რომელშიაც იღუპება ნამდვილად სასარგებლო და სიმპატიური საქმე.

რა არის ამის მიზეზი?

უქვევლია, პირველ-ყოველისა ჩვენი პირადი ხასიათი უნდა იყოს გამტყუნებელი, ვიდრე ობიექტიური პირობანი. ეს ასეა და ფრიად სასიამოვნოა, რომ ამ სინამდვილეს აღიარებს თვით ერთი წევრი — ხელმძღვანელი სასოფლო ბანკისა. ბ. გორდელაძე ბრძანებს: „საკრედიტო ამხანაგობის „სისუსტის“ მიზეზი ბევრნაირია. ერთი ამ მიზეზთაგანი, თუ გნებავთ, თვით ჩვენ გამგეობის წევრები ვართ, უფრო კი თვით ამხანაგობა“. დიახ, საკრედიტო ამხანაგობის სისუსტის ერთი მიზეზთაგანი, როგორც გამგეობა ისე წევრები არიან, მაგრამ ამ სისუსტის აღიარება კიდევ არა შევლის საქმეს. თუ კი ჩვენ გვრწამს, რომ ცუდი მდგომარეობა დამყარებულია ჩვენივე მეოხებით, ჩვენი გამოუცდლობით, უცოდინარობით, უკულტურობით, ცხადია, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ და მივისწრაფოდეთ შევძინოთ რაც შეიძლება მეტი გამოცდილება, მეტი ცნობანი, რომ კულტურული ძალები შევქმნათ.

შეუძლებელია, არ დამეთანხმოს ამაში ბ. ი. გორდელაძე, მაგრამ შეუძლებელია იმაშიც არ დამეთანხმოს, რომ მიუხედავად ამ ქვეშარიტების აღიარებისა, ჩვენ მაინც არ ვინძრევით, არ ვსაქმიანობთ, რომ ჩვენზე უმეტრება გავფანტოთ, საქმე გავაუმჯობესოთ. მაგრამ საკითხის ამ მხარეს თავი დავანებოთ.

ვიკითხოთ: რანაირად შეიძლება საკრედიტო კოოპერაციის ძალების რამდენადმე დაწინაურება, მათი მუშაობის საზრიანად მოწყობა, სათანადო სისტემაში და ფორმაში ჩამოყალიბება. აუცილებლად სპეციალურ განათლების მოფენით, ცოდნის გავრცელებით, პრაქტიკულის მუშაობით, მაგრამ ერთ ერთ საამდარგო საქმედ აუცილებლად უნდა იქმნას ჩათვლილი საკრედიტო კოოპერატივების კავშირი. კავშირი ისეთი დაწესებულებაა, რომელიც კოოპერაციას მამობრივ მხრუნველობას გაუწევს, ყოველ მის საჭირ-ბოროტო საკითხებს, მოვლენებს, საქმეებს გულმხურვალედ მოეკიდება და საუკეთესო ფორმების შესაქმნელად თვითეულ კოოპერატივს დიდ დახმარებას გაუწევს. დიახ, ეს ასეა, თვით ბ. გორდელაძეც ამბობს: „ვინ არ იცის, რომ კავშირის დაარსება დიდი საქმეა, მაგრამ... მაგრამ რიდასთვის ყოფილა ბ. გორდელაძე და ბევრი მისებრ მოაზრებები კავშირის წინააღმდეგი? ერთად ერთი და უმთავრესი არგუმენტი კავშირის სადღეისო მოწინააღმდეგეებისა ის არის, რომ საკრედიტო კოოპერაციების ხალხი, გამგეები, ამხანაგობის წევრნი მოუშხადებელნი, განუვითარებელნი და სხვა ასეთები არიან. „ჯერ-ჯერობით—პირდაპირ ამბობს ბ. გორდელაძე—ისეთმა ამხანაგობათ დააარსონ კავშირი, რომელნიც ამისათვის შესაფერად მომზადებულად სცნობენ თავს. ჩვენც ვეცდებით თანდათანობით შეუერთდეთ მათ“.

სწორედ ეს შეხედულება—ერთი შეხედვით ლოდიკური, ყოველად მავნებელი და შეუწყნარებელი შეხედულებაა, რომელიც ელემენტალურ კრიტიკის შეხებასაც ვერ უძლებს. შეხედულება, რომელსაც მართლა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია საკრედიტო კოოპერატივებისათვის. პირველ ყოვლისა უნდა მოვახსენო ბ. გორდელაძეს, რომ კავშირი არსდება იმიტომ, რომ კოოპერატივების სუსტ ძალთა კონცენტრაცია მოახდინოს, რათა ძალების მობილიზაციით ერთმანეთს დაეხმარნენ. ამიტომ კავშირში წარმოდგენილი უნდა იყოს ყოველი კოოპერატივი, რაც უნდა სუსტი და მოუშხადებელი იყოს იგი კოოპერატივი საკავშირო მოღვაწეობისათვის.

თუ იმას ფიქრობთ, რომ კავშირში უმეტარი ხალხი რას გამოადგებაო—ეს ვერაფერი საბუთია. ყოველგვარ სახელმძღვანელო კოლექტივში, კოოპერატივი როგორც ყოველი საზოგადოებრივი ერთეული—არჩევს და ჰგზავნის თავის წრის საუკეთესო ძალებს, ძალებს ყველაზე უფრო ღირსეულს და გავლენიანს. თუ ეს ფილტრიც არ შევლის საქმეს, იმ შემთხვევაში საქმისათვის სრულიად საზიანო არაა, რომ ეს ნაკლებად განვითარებული ძალა მოხვდეს კავშირში, რადგან კავშირის ყოველთვის მეტ ხელმძღვანელობას უწევს კავშირში მოქცეულ წევრთა საუკეთესო ძალები. ეს ძალები ჰქმნიან კავშირის ცხოვრებას, სჯიან კოოპერატივების საქმეებს, ხელმძღვანელობენ და თვალყურს ადევნებენ მთელ კოოპერაციის საქმეს და ასეთ კოლექტივში მოხვედრილი თუნდ სუსტი ძალა არას წააგებს, გარდა გონებრივ ჰორიზონტის გაშლისა, დაწინაურებისა, გაჩაღებისა.

ამსოლიუტურ სიძლიერეს ჩვენ ძნელად მივალწევთ. ან ვინ იქნება ამ ძლიერების გამზომელი. საზოგადოების ყოველ წევრში მუდმივ იარსებებს გონებრივ ძალთა სხვა და სხვაობა და თუ ჩვენ ყოველთვის მხოლოდ მოწინავეებს გადავადებთ საქმეებს, ხვალ ჩვენ დავწინაურდებით და მათ ჩავერევითო, ცხადია, ასეთ შემთხვევაში ვერასოდეს საქმეს ვერ გავაკეთებთ. ჩვენ არსებული ძალებითვე უნდა ვცდილობდეთ ყოველგან და ყველაფერში საქმის მოგვარებას და შემწეობას და თუ ჩვენს შორის უკეთესები გამოჩნდებიან, ეგ უკეთესი.

გორდელაძის შეხედულებით, საკანონმდებლო დაწესებულებაში მხოლოდ ისეთს ხალხს უნდა ჰქონდეს ალაკი, რომელთაც შეუძლიათ თავისი რამ შეიტანონ კანონის შექმნის საქმეში. ვინ არ იცის რომ მაშინ „დღემა“—ში $\frac{2}{3}$ რუსეთი არც კი მოხვდებოდა და მერე საჭირო ეს იქმნებოდა? რაც უნდა იყოს, ეს $\frac{2}{3}$ ნაკლებად განვითარებული ძალებისა, როგორც თვითონ იჩაღებებიან, ისე ხალხოსნურ მოტივებს მაინც ამეფებენ შიგა და სწორედ ამ მხრივია ეს მონაწილეობა დიდმნიშვნელოვანი.

ესევე შეგვიძლია ვსთქვათ საკრედიტო პოოპერაციების კავშირზე და მათში ჩვენს მონაწილეობაზე.

თ. ლლონტი.

კოოპერაცია გერმანიაში

ამა წლის გაზაფხულზე დრეზდენში იდღესასწაულეს 10 წლის იუბილელი გერმანულ მომხმარებელ საზოგადოებათა ცენტრალურ კავშირისა. ეს იუბილელი ფრიად საყურადღებო და საინტერესოა იმისათვის, ვინც თვალყურს ადევნებს ხალხურ კულტურას. იუბილელი წარმოადგენდა კრებას ათასობით შეკრებულ წარმომადგენლებისა და რწმუნებულთა მუშათა კოოპერატიულ ორგანიზაციებისას გერმანიაში, რომელნიც შედიან ამ „ცენტრალურ კავშირში“. უკანასკნელი კავშირი, რომლის რეზიდენცია ჰამბურგში არის, გახდა ნამდვილი იდეური ხელმძღვანელი მომხმარებელ კოოპერაციისა საზოგადოთ. მან შეიტანა კოოპერაციაში ახალი საზოგადო იდეები, დაუყენა წინ ფართო სოციალური პერსპექტივები, გადააბა საერთო სოციალურეფორმატორულ მისწრაფებათ გერმანიის მუშათა მოწინავე ელემენტებისას.

ამაშია უდიდესი ღვაწლი დასახელებულ დაწესებულებისა. მან გაამაგრა გერმანელ მუშებში ის აზრი, რომ საჭიროა, არა მარტო პოლიტიკური კავშირები მუშათა პარტიაში, არა მარტო მონაწილეობა წარმოებაში — პროფესიონალურ კავშირის სახით, არამედ მომხმარებელი კავშირებიც, მომხმარებელი საზოგადოებანიც.

ათი-თხუთშეტი წლის წინად ბევრი ცნობილი ბელადი გერმანელ მუშათა მოძრაობისა ალმაცერად უყურებდა კოოპერაციის და ხანდახან მავნეთაც მიაჩნდათ, ვითომ როგორც დამამკირებელი „საბოლოო მიზნის“ ოცნებისა.

მაგრამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ეს აზრები შეიცვალნენ ძირიანად. შესცვალა იგი თვით ცხოვრებამ და საოცარმა ზრდა-განვითარებამ კოოპერატიულ საქმისა თვით გერმანელ პროლეტარიატის წრეებში.

შარშან „ცენტრალურმა კავშირმა“ გამართა დიდი გამოფენა. ვეებერთელა დარბაზები სავსე იყო ბევრ-სართულიან სახლების, სარდაფების, მექანიკურ ფურნეების, საკალბასეების მოდელებით, ფაბრიკებისა და ქარხნებისა; ამართული იყო დიდი

პირამიდები იმ საქონლისა, რომელიც თვითონ დამუშავებინათ კოოპერატივების წევრებს. ერთს სიტყვით, ეს კოოპერატივები აჩვენებდნენ ქვეყანას, თუ რას მიაღწია მათმა „კავშირმა“. აქ იყვნენ წარმოდგენილი კოოპერატივები დიდი და პატარა ქალაქებისა, ყველაფერს ტენიკის „უკანასკნელი სიტყვის“ ბეჭედი ესვა და მაჩვენებელი იყო განვითარებულ ვაჭრობა-მრეწველობის ცხოვრებისა.

კავშირში იყო 1,155 საზოგადოება, რომელთაც ჰყავდათ 1.483,811 წევრი. ამათ ჰქონიათ 4,411 დუქანი და მაღაზია, რომელთაც გაუყიდნით ერთი წლის განმავლობაში 423.000,000 მარკის საქონელი; აქედან 84,000,000 მარკისა დამზადებული ყოფილა თვით კოოპერატივების ფაბრიკა-ქარხნებში. კოოპერატივებს აქვთ 200.000,000 თანხა და შიგა მუშაობს 26,000 მუშა.

ამ გვარი დაწესებულებანი ეხლა უდიდეს სოციალურ მოვლენად ითვლებიან და ისეთ გამოჩენილ ეკონომისტების ყურადღებას იქცევენ, როგორც არიან ვაგნერი, ზომბარტი, შტაუდინგერი და სხ. და უფრო მეტად მოქმედობს ასეთი განვითარება კოოპერაციისა მუშების გონებასა და ფსიხიკაზედ. მათი წრიდან გამოდიან ასობით ხალხი, რომელნიც განაგებენ და უვლიან დიდ საწარმოვო და სამრეწველო საქმეებს, რომელნიც კერძო პირთ კი არ ეკუთვნიან, არამედ შეადგენენ კოლექტიურ საკუთრებას შეერთებულ მომხმარებელთა. და ამგვარად იქმნება სრულიად რეალური წარმოდგენა იმ გზებისა, რომლითაც უნდა იაროს მუშათა კლასმა თანამედროვე დამოკიდებულებათა სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებისაკენ.

მუშები გრძნობენ, რომ ისინი კერძო, თავის საქმესთან ერთად ჰქმნიან საერთო საფუძველს მომავალ საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის და აქ იბადება ახალი სოციალურ მსოფლ-მხედველობა.

ლ. დ.

საკრედიტო კოოპერაცია და მათი საშუაშავლო მოქმედება

უკანასკნელ დროს, ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მხარეს ერთად, დაიბადა საკითხი იმის შესახებ, რომ წვრილი კრედიტის დაწესებულებანი სოფელში გამოიყენოს აგრეთვე, როგორც საშუაშავლო ორგანო, იმ საწარმოვო იარაღების, მანქანების ან მასალის შესაძენად, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვა და სხვა დარგს სჭირდება. ეს აზრი ბუნებრივად დაებადათ ყველას, რადგან თავიდანვე დაეტყო საკრედიტო საქმეს, რომ ფულის გაცემა მართო იქ შეიძლება და ისეთ პირებზედ, საცა და ვინც ადებულ სესხს მოახმარებს საკუთარ მეურნეობის ისეთს გაუმჯობესებას, რომ თანხის დაბრუნებასაც და სარგებლის გადახდასაც შეიძლებს. ასეთს მდგომარეობას კი პირდაპირ იმ დასკვნამდე მიჰყავდა ყოველი შეგნებული გამგე, რომ გაუმჯობესების საშუალებანი თვით გლეხკაცს არ მოეპოვება და რომ უნდოდეს კიდევ, გულითაც რომ მოწადინებული იყოს ადებული ვალი მოგებიანად გამოიყენოს—ბევრჯელ ცოდნაც და უმეტეს შემთხვევაში შეიძლება არა აქვს. ამიტომ, ერთის მხრით თვით საკრედიტო დაწესებულება ვარდება სახიფათო მდგომარეობაში, რადგან იძულებულია ფული ისეთებზედ გასცეს, რომელნიც ძნელად დააბრუნებენ და მეორეს მხრით, თვით მსესხებელი ვერ იყენებს რიგიანად ადებულ თანხას და ტყუილად ვალში იფლობა. ეს ნაკლი საკრედიტო დაწესებულებისა ყველგან შესამჩნევად მაგნეა და ამიტომ არ თანაუგრძობთ იმ სწრაფ გამრავლებას წვრილი კრედიტს დაწესებულებათა, რომელმაც, შეიძლება, უფრო მეტი ზიანი მოუტანოს ჩვენს სოფელს, ვიდრე მევახშეებმა. კრედიტსაც თავისი კანონები აქვს, და ვინც მათ გადალახავს, შეიძლება სასტიკად დაიხაჯოს. ამიტომ, შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, ნამეტნავად ისინი, ვინც სათავეში უდგანან სოფლის საკრედიტოებს, მეტის სიფრთხილით უნდა გასცემდნენ თანხას და იმავე დროს ზრუნავდნენ კრედიტის აღებ-მიცემობის პირობანი შესცვალონ და გააუმჯობესონ.

როგორც ზემოდ მოვახსენეთ, თითქმის ყველგან ბუნებრივად კიდევ დაიბადა ეს აზრი და ის

მიმართულება მიიღო, რომ საკრედიტო დაწესებულებამ საშუაშავლო ოპერაციებიც იკისროს.

კახეთში, მაგ., თითქმის ყველგან ერთნაირად სწყდება ეს საკითხი, რადგან რაიონი უფრო ერთფეროვანია მეურნეობის მხრივ და ყველგან მეღვინეობას მისდევენ. მეღვინეობა კი თხოულობს ეხლანდელ დროში ვაზის მოვლას და წამლობას, რასაც აუარებელი მართული, შაბიამანი, გოგირდი და სხ. სჭირდება. ამ მოთხოვნილებას აქამდის აკმაყოფილებდა ჩარჩი, კერძო პირი და მოგებისათვის არაფერს ერიდებოდა. დღეს იბადება აზრი საზოგადოებათ იკისრონ შეძენა ყველა საჭირო მასალისა და შემდეგ გაყიდონ, ან სესხის სახით მისცენ მომხმარებელთ. ესეთი ოპერაციები, გაამაგრებენ თვით საკრედიტო დაწესებულებათა ნიადაგსაც და სოფელსაც დიდ სამსახურს გაუწევენ კარგი და იაფი საქონლის მიწოდებით. რასაკვირველია, უმჯობესი იქნებოდა რამდენიმე სოფლის ან მთელი რაიონის საკრედიტონი შეერთებულიყვნენ ამ მიზნით და საერთო საწყობი მოეწყოთ, მაგრამ საცა ეს არ მოხერხდება, იქ მაინც არ უნდა ურჩყონ შუაშავლობა, თუ სურთ საქმის კეთილად წარმართვა.

ქართლში მეურნეობა უფრო სხვა და სხვა გვარია: ხენა-თესვა, მერძეობა, მეხილეობა და სხ. აქ უფრო ძნელია სარაიონო საერთო საწყობების გამართვა, რადგან სულ სხვა და სხვა იარაღები და მასალებია საჭირო, რაც საქმეს ართულებს და აძნელებს, მაგრამ მაინც სასურველია და ყველა ღონე უნდა მოხმარდეს ამას, რომ საკრედიტო დაწესებულებამ ხელი შეუწყოს თავის ფარგლებში რომელიმე დარგის გაუმჯობესებას, როგორც კრედიტით ისე სასარგებლო იარაღების და მასალების მიწოდებით. აი მაგ., როგორც სოფ. დიდ ლილოში საკრედიტო დაწესებულება აძლევს სესხად ფულს უმეტეს ნაწილად იმას, ვინც ძროხას შეიძენს და ამგვარად იქვე არსებულ კოოპერატივს მერძეობისას ხელსაც შეაშველებს და თვითონაც მოგებასა ნახავს. აგრეთვე ლილოს საკრედიტო აწვდის სოფელს ხელოვნურ საქმელსაც ძროხებისათვის, რაც აუკეთესებს და აღიდებს რძის რაოდენობას. ასეთის ბრუნვით კრედიტისა (ფული გაიცემა ძროხის შე-

საძენად, ძროხა აფართოვებს კოოპერატივის მოქმედებას, კოოპერატივი დიდი სარგებლით აბრუნებს დახარჯულ თანხას და მისი წევრნი უფრო ადვილად იხდიან საკრედიტოს ვალსაც და თავისთვისაც მოგება რჩებათ) იყრება მკვიდრი საფუძველი სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისა და შემდეგ იგი თავის საკუთარ ფეხითაც შესძლებს სიარულს.

*ამიტომ. ყველა ჩვენს თანამგობრებს და ხალხის ნამდვილ მოამბეს, მოსურნეს ჩვენი მეურნეობის აღორძინებისას, ვურჩევთ დიდი ყურადღება მიაქციონ ამ საკითხს და შეეცადნენ ყველგან პარალელურად აწარმოონ საქმე, როგორც საკრედიტო დაწესებულებისა, ისე საშუამიველი ოპერაციებისა.

კოოპერატორი.

ზ რ ე ს ა

„სახალხო გაზეთს“, მოჰყავს საინტერესო ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ნიხრს ადებს საგუბერნიო საკრებულო იმ სანოვაგეს, რომელიც სჭირდებათ საერობო დარაჯებს:

მაგალითად, გორის მაზრის ერთს რაიონში ასეთი ნიხრია დაწესებული:

ერთი ფუთი ქერი	50 კ.
თივა ერთი ფუთი	15 კ.
პური	3 კ.
ქათამი	30 კ.
კვერცხი	1 კ.
ხორცი	7 კ.

არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა, რაინარი ცნობები ჰქონდა ხელში, როდესაც ამნაირ ნიხრს აწესებდა, დასძინს გაზეთი, მაგრამ ჩვენ კი კატეგორიულად შეგვიძლიან ადვინიშნით, რომ ეს ფასები ნახევარია სანოვაგის ნამდვილი საფასურისა, იმ საფასურისა, რამდენხდაც თვითონ გლეხი უიღულობს. ფუთი ქერი, მაგალითად ღირს არა 50 კ., არამედ 80 კ., ფუთი თივა ღირს არა 15 კ., არამედ 40 კ., ერთი პური ღირს არა 3., არამედ 5 კ., ქათამს ვერსად იშოვით 60 კ., ნაკლებ, ხორციც ღირს არა 7 კ., არამედ 12—13 კ. გირვანქა. ჩვენ ვიღებთ მინიმუმს საფასურისს. თქმა არ უნდა, საერობო დარაჯებისთვის სოფლის ადმინისტრაცია დამტკიცებულ ნიხრის კვალობაზე იღებს სანოვაგეს და დანარჩენ საფასურს კი სა-

სოფლოდა ჰკრეფავენ- ამ რიგად, სოფელი ერთგვარ ზედმეტ გადასახადს იხდის საერობო დარაჯების შესახად. თუ ასეთი ზედმეტი გადასახადის დადება საგუბერნიო საკრებულოს ანგარიშში შედიოდა, მაშინ არაფერი გვეთქმის, *) მაგრამ თუ მას სურდა ნიხრის დაწესებით, სანოვაგეში ფულის ექვივალენტი მიეცა, მაშინ დიდად მოტკეპულია. შემადანიშნულ ნიხრის მიხედვით თუ გაუსწორდნენ გაშიადგელებს, მაშინ მხოლოდ საფასურის ნახევარს მისცემენ, ე. ი. ცოტა სხვანაირად რომ გამოვსთქვათ ჩვენი აზრი, გამოვა, რომ, თუ ამა თუ იმ სოფელში, ვსთქვათ, ექვსი საერობო დარაჯია ჩაუენებული, სამს შათასს ხაზინა იხსავს და სამს—სოფელი.

საჭიროდ მიგვაჩნია ამ გარემოების აღნიშვნა, რადგანაც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, რომ საერობო დარაჯებმა სოფელში თითონ უნდა შეინახონ თავისი თავი და სანოვაგეში ხვედრი ფულიც აძლიონ.

არ ვიცით, გულუბრყვილობით მოსდის, თუ განგებ, რომ „სახ. გაზეთმა“ არ იცის რით ხელმძღვანელობდა საგუბერნიო საკრებულო.

ბალკანეთის ომი

მეორე ბალკანეთის ომი სოციოლოგიურის თვალსაზრისით გაცილებით საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოდგა პირველზედ. პირველი ომი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ჩვეულებრივი იმ მხრივ, რომ ისტორიამ მრავლად იცის ისეთი მოვლენა, როცა პატარა ერები იარაღში სხდებოდნენ და თავისუფლების და სამზღვრების გასაფართოვებლად იბრძოდნენ. ბულგარეთი, სერბია, საბერძნეთი, ჩერნოგორია, ახლად შექმნილი ალბანია და პროექტში მყოფი მაკედონია ზოგადი ტიპები არიან ერთის მხრივ პატარა სახელმწიფოთა, რომელთაც მუდამ სურთ ზრდა და გაფართოვება, მეორეს მხრივ უსახელმწიფო ეროვნებათა, რომელნიც მუდამ ისწრაფიან ამ სახელმწიფოთა შექმნისკენ. მიზანი მათის მოქმედებისა ყველასთვის ცხადი და ნათელი იყო. პირველებს—ბულგარეთს, სერბიას, საბერძნეთს და ჩერნოგორიას სურდათ საზღვრების გაფართოვება, ესე იგი შემოერთება იმ პრო-

*) რატომ? რედ. „კლდე“

ენციკაბა, ურომლისოდ მათი ეტნოგრაფიული მთლიანობა მიზანს ვერ იყო მიღწეული; მეორეებს — ალბანიას და მაკედონიას ხელახლად შექმნა თავის აწმყოსი სახელმწიფო ორკანიზაციის სახით. ეს მიზანი თითქმის მიღწეულ იქმნა. ოსმალეთმა დასცალა ბალკანეთი და გაფართოვდა არა თუ სამზღვრები ამ პატარა სახელმწიფოთა, არამედ ომმა და სისხლის ღვრამ წარმოშვა ახალი სახელმწიფო ორგანიზმი — ალბანია. თანამედროვე დიპლომატიის თვალსაზრისით, რომელიც ყველაზედ ნაკლებ სოციოლოგიურ პრინციპებს უწევს ანგარიშსა, საქმე ამით უნდა გათავებულყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბალკანეთზედ ახალი ომი დაიწყო, უფრო სასტიკი თავის ამბებში და უფრო საინტერესო თავის შედეგებით. კამათი იმის შესახებ, რომ მეორე ომი საერთაშორისო გართულებას გამოიწვევს, უადგილოა. თუ პიკელმა ბალკანეთის ომმა, რომელმაც პირველმა შესძლო ბალკანეთის Status quo-ს დარღვევა — არ გამოიწვია საერთაშორისო გართულება; რადგანაც სწორედ ეს Status quo შეეხებოდა ევროპის ფინანსიურ და პოლიტიკურ ინტერესებს, ყველაზედ ნაკლებ ეხლა უნდა მოველოდეთ ამ გართულებას. დიპლომატებს ყველაფრის თქმა შეუძლიანთ, მაგრამ ნამდვილად ბალკანეთზედ ევროპის ინტერესები აღარ არსებობენ. ბალკანეთზედ ვაიღვიძა საკუთარმა ძალამ, რომელიც თითონ არის პატრონი ამ ინტერესებისა. ამიტომ ეხლა, როცა ომი სამზღვრების შესახებ სწარმოებს, ინგლისისთვის, ან გერმანიისთვის სულ ერთი უნდა იყოს, სად გაივლის დემარკაციული ხაზი სერბებსა და ბულგარებს შორის, ბულგარებს და ოსმალებს შორის, საბერძნეთსა და ალბანელებს შორის. ამ საკითხში ევროპის ინტერესები აღარ არსებობენ მაგრამ რამდენადაც იკლეს ევროპის ინტერესებმა, იმდენად იმატეს თვით ბალკანეთის სახელმწიფოთა ინტერესებმა და ამ მხრივ მეორე ბალკანეთის ომი ნამდვილ ბალკანეთის ომად იქცა.

სად არის მიზეზი ამ მეორე ომისა? ვინ არის დამნაშავე, ვინ არის მეტუკე, რომელმაც პირველმა ასტეხა განგაში? ძნელია ვისმეს დაადო ხელი. სცდებიან ისინი, ვინც მიზეზად ბულგარეთის მინისტრთა ბრმა პოლიტიკას ასახელებენ. უფრო ნაკლები დანაშაული ავსტრიის დიპლომატიას მიუძღვის. სერბებიც ისევე არიან დამნაშავენი, როგორც ბულგარელები, ხოლო, რაც შეეხება რუს სლავიანოფილების საყვედურს, რომ ბალკანეთის სლავიანებმა სლავიანური იდეა სისხლში ამოაღრჩვეს — ყველა-

ზედ ნაკლებ ამაში გამოსკვივის საღი შეხედულობა და უნარი მდგომარეობის შეფასებისა. სლავიანთა იდეა, თუ კი არსებობს ასეთი რამ და მითი არ არის, სლავიან ერთა გარეშე არც უნდა არსებობდეს. და ფრიად სასაცილო იქმნებოდა ბალკანეთის სლავიან სახელმწიფოთ თავიანთი ღვიძლი ინტერესი რაღაც განწყენებულ იდეისთვის შეეწირათ და უარი ეთქვათ ომზედ, თუ გინდ, ერთმანეთთან, როცა ამ ომს შექმნილი მდგომარეობა ბრძანების კილოთი მოთხოვდა. თანამედროვე ერები ყველაზედ ნაკლებ რასსიულ პოლიტიკას მისდევენ. განა არსებობს ტომობრივი კავშირი, სოლიდარობა? საფრანგეთი და იტალია ერთი ჩამომავლის ხალხნი არიან, მაგრამ სხვა და სხვა კავშირში შედიან. ინგლისი თავის ჩამომავლობით კულტურით და ციკლიზაციით გერმანიასთან უფრო ახლოა, მაგრამ რუსეთთან შეთანხმებას არჩევს, სწორედ ამ მონათესავე გერმანიის წინააღმდეგ. ერთის სიტყვით თანამედროვე ერთა და სახელმწიფოთა დაყოფაზედ რასსიული ერთგვარობა ყველაზედ ნაკლებ მოქმედობს. თვით პოლიტიკური წესწყობილებაც კი უძღურია ერთი ტიპის სახელმწიფოთი შეაერთოს. რუსეთი და საფრანგეთი ამის ბრწყინვალე მაგალითია. თანამედროვე სახელმწიფოებს მხოლოდ საკუთარი ინტერესი აკავშირებს მეორე სახელმწიფოსთან და ეს იმიტირებ, რომ არსებობს მარტოოდენ ეროვნული პოლიტიკა და არა რასსიული. და თუ ეს ასეა, იბადება საკითხი, შეეძლოთ განა ბულგარელებს და სერბებს იარაღი დაეყარათ მარტო იმ მოსაზრებით, რომ ისინი სლავიანები არიან და არ ებრძოლათ, როცა ამ ბრძოლას მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვდნენ.

ეს საკამათო საგანი არ არის. უფრო რთული მეორე საკითხია. არსებობდა თუ არა ჭეშმარიტი მიზეზი, რომელსაც აუცილებლად ომი უნდა მიჰყოლოდა. აი, საკითხი და ყველა ვინც კი თვალყურს ადევნებდა ბალკანეთის მეორე ომს, აუცილებლად იტყვის, რომ ასეთი მიზეზი არსებობდა. არას ვიტყვით რუმინიასა და საბერძნეთზედ, რომლებიც არც პოლიტიკურად, არც რასსიულად დაინტერესებულნი არ არიან ემსახურონ სრულიად სლავიანთა იდეას. თვით სერბებს და ბულგარებს, სლავიანთა ამ ღვიძლიშვილებს, გაუჩნდათ ომის მიზეზი. მიზეზი ამ ომისა გამონასკულია იმ უცნაურ ეტნოგრაფიულ ფოკუსში, რომელსაც მაკედონია ეწოდება. რას წარმოადგენს თანამედროვე მაკედონია ეტნოგრაფიულად? იმის თქმა, რომ მაკედონიაში მაკე-

დონელები სცხოვრობენ—იგივე იქმნებოდა რომ გვეთქვა: კავკასიაში კავკასიელები სცხოვრობენო. ასეთი განმარტება არავის დააკმაყოფილებდა. მართალია იყო დრო როცა მაკედონელებს სურდათ შეექმნათ მაკედონთა ეროვნება, მაგრამ ამ ცდამ ამოდ ჩაიარა. უკანასკნელმა ომის ამბებმა აშკარად დაგვანახვეს ვინ იყვენ ნამდვილი მცხოვრებნი მაკედონიისა. ესენი გამოდგნენ იგივე ბულგარელები, სერბები, ბერძნები, ოსმალები და კუცოვალახები, რომელთა მეტროპოლიები გარს ჰქონდა შემორჩემული მაკედონიისა. მაგრამ ეს სრულიად არ ხატავს მაკედონიის ნამდვილ მდგომარეობას. მაკედონია ნამდვილი ბაბილონის გოდოლი იყო, აქ იყო ყველა, მაგრამ არც ერთ ეროვნებას თავისი იერი წმინდათ არ ჰქონდა შენახული. გაბულგარებული სერბი, გასერბებული ბერძენი, გაოსმალებული ბერძენი და გაბერძნებული სერბი ან ბულგარელი - აი ნამდვილი სურათი მაკედონიისა. და როცა მოკავშირეებმა ხელთ იგდეს მაკედონია—პირველი კითხვა რომელიც მათ დაებადათ იყო: ვის უნდა ერგოს მაკედონია? და რადგანაც საკითხის საერთოდ გადაწყვეტა ძნელი გამოდგა, მოკავშირენი სათითაოდ შეუდგნენ მის გადაწყვეტას. ჩვენ უკვე ვიცით რა ორიგინალური და ევროპისთვის უჩვეულო რამ იყო ეს გადაწყვეტა საკითხისა. ვიდრე ბულგარელები იყვნენ მაკედონიაში ქლექტდნენ ყველას მათ, ვინც ბულგარელი არ იყო, არ ინდობდნენ თვით სლავიან-სერბებსაც. მათი ადგილი მერე ბერძნებმა დაიჭირეს და, რაც რამ ბულგარეთის და ოსმალს ნასახი იყო, ცეცხლსა და მახვილს მისცეს და ეხლა, როცა ოსმალთმ ხელახლად დაიჭირა ფრანკია, ბულგარელებს და ბერძნებს იგივე დღე გაუთენა. ერთის სიტყვით ვინც კი გაიარა მაკედონიაზედ ყველამ თავისი ულტრანაციონალისტური დროშა ააფრიალა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ბალკანეთის ომი თანამედროვე ევროპიული ომია. თავის მიზეზებით და მომხდარ ფაქტებით იგი უფრო პირველ ყოფილ ომსა ჰგავს, როცა ერთი ტომი მეორეს ესხმოდა და როცა ბრძოლა ხდებოდა არა მარტო ტერიტორიის დასაპყრობად, არამედ სხვა რასის, სხვა ტომის და სხვა ერის სრულ მოსასპობად. და ბალკანეთის ომის თავისებურობაც, რომელიც მას სხვა იერს აძლევს, სწორედ ეს არის. ეს არის ნამდვილი ომი ერთა შორის და არა მარტო ჯარებ შორის. უცნაურია ასეთი ომი თანამედროვე ევროპისთვის, იგი ანაბრონიზმია, მაგრამ სამაგიეროდ ეს არის ომი გამოწვეული არა დიპლომატი-

ურ მიწერ-მოწერით, არამედ რთულ სოციალურ მიზეზებით, რომელთა შორის უმთავრესი ადგილი ეტნიურ მრთლიანობის და ერთგვარობის სურვილს უჭირავს.

ამ ომმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ თანამედროვე სახელმწიფო ეროვნულ ერთფეროვნობისკენ მიიწრავის. მას სძაგს ეროვნული სიჭრელე და ამ სიჭრელეს ან სრულიად ფესვებიანად სპობს, ან მის მოსპობას ასსიმილიაციით სკდილობს. ეს ორივე სისტემა უკვე სკადეს ბალკანელებმა. ომამდე ბალკანეთზედ სახალხო სკოლები ის დაწესებულებანი იყვნენ, რომლის წყალობით სერბები ბულგარელებს ასერბებდნენ და ბულგარელები უკანასკნელებს, ამასავე სჩადიოდნენ ბერძნები ბულგ შესახებ და ამასავე სჩადიოდნენ ყველას მიმამრთ ოსმალები. მაგრამ ეს იყო მშვიდობიანობის ხანაში და მიზანსაც მუდამ ვერ აღწევდნენ. ეს ერები ერთმანეთს ჯიბრში უდგნენ და საზოგადოთ მათ ხელში კიდევ იყო კულტურული საშუალება ასსიმილიაციის წინააღმდეგ ბრძოლისა. მაგრამ როცა ბრძოლის იარაღი შეიცვალა, როცა მასწავლებლის და მღვდლის ადგილი სალდათმა დაიჭირა—ბალკანელებმა მიმართეს იმ საშუალებას, რომელიც უფრო რადიკალურად სწყვეტდა საკითხს. ეს იყო ძველი, ნაკადი საშუალება, მართალია პრიმიტიული, მაგრამ როგორც ზევითაც ვსთქვით საკითხის უფრო ზედ-მიწევით გადაწყვეტი, და რიგ-რიგად, იმის და მიხედვით თუ ვინ იყო ბატონი მდგომარეობისა—არა სასურველი ელემენტი ცეცხლისა და მახვილის მსხვერპლი ხდებოდა.

უშველის თუ არა ასეთი გადაწყვეტა საკითხ-სა საქმეს, შეჰქმნის თუ არა ასეთი ზომა ბალკანეთზედ წმინდა ეროვნულ სახელმწიფოებს—ეს ძნელი გამოსაცნობია. მაგრამ რაც მოხდა უკვე, ისიც საკმარისია, რომ თანამედროვე სოციოლოგიამ, როგორც მეცნიერებამ, ბევრი საყურადღებო დასკვნა გამოიყვანოს. თანამედროვე ევროპა არც ისე უგულოა, რომ სოციოლოგიურ ექსპერიმენტისთვის კიდევ განაგრძოს ეს ომი. ადამიანის სიციცხლე გაცილებით ძვირფასია სხვა და სხვა კანონზედ და პრინციპზედ და ევროპა არ მოისურვებს დაუსრულებელ სისხლის ღვრას მარტოდენ მიტომ, რომ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ იქმნას, რომ რაც უფრო ერთფეროვანია რასსიულად ერის შემადგენელობა, მით უფრო უზრუნველ ყოფილია მისი პროგრესი. მაგრამ არავის არა სურს იფიქროს იმის შესახებ, თუ რა იქ-

მნებოდა თანამედროვე საფრანგეთი, მის ორგანიზ-
მში რომ სხვა და სხვა ერა ელემენტები ერიოს.
ნამდვილად კი ეს არის სწორედ ის საკითხი, რომე-
ლიც წარმოშობს ხოლმე ბალკანეთისთანა ომს.

ა—ი.

მოწერილი ამბები

სოფ. ახალქალაქი (გორის მაზრა) ყველა სო-
ფელს თითო რამ მაინც ეშველა და ახალქალაქი
კი ისევ ისეა უწმინდურობაში და უკულტურობაში
ჩაფლული. როგორც ყოველთვის. გორის მაზრაში
ეს სოფელი ერთი უდიდესთავანია, მთელ ცალკე
საბოქაულოს წარმოადგენს და ისეთი „ხელშეუხე-
ბელი“ ყოველგვარ კულტურისაგან სოფელი არა
ნახულა. ქუჩები ისეთი ქუქუიანი და მყარლი, რომ
კაცს არ გაეცლება; თითონ ბაზარი, საცა მთელი
გარშემო სოფლები ვაჭრობენ, ისეთი სიბინძურით
ინახება რომ გულსა რეეს ადამიანს. ზაფხულობით
ბევრი ხალხი აწყდება სააგარაკოდ და იმდენი შეკ-
ნება არა აქვს არც იქაურ გლეხობას, არც მრავალ
მოვაჭრე ხალხს, რომ ზაფხულისათვის მაინც ეცად-
ნენ რასმე, თუ საზოგადო საქმისათვის არა, საკუ-
თარ ჯიბისათვის მაინც. არც ხეირიანი პური, არც
როდისმე ხორცი, ან სხვა რამ სანოვავე იშოვება.
ყოველ წლივ ახალქალაქში მოდის მიწის მზომელთა
სკოლა და ესეც კი ვერაფერსა ხდება, რომ საქმაო
იყოს ყველაფერი.

ახალქალაქი მდიდარია წყლით, თეძამი და მის-
გან წაყვანილი რუები 20 ვერსხედ რწყავენ გარშე-
მო სოფლებს, მაგრამ იგივ თეძამი და მისი ხევები
თითქმის ანადგურებენ სოფელს და საშველი არა
აქვს რა; ხან სახლს დაანგრევს წყალი, ხან ვენახს
გააოხრებს ან მოიტაცებს, ხან საქონელს გააფუჭებს.
ხილი რა არის, ხეირიანი გზა შიგ სოფელში—ისიც
კი არ მოიძებნება. ერთ დროს თითქო ფარნებიც
კი დადგეს გასანათებლად. მაგრამ დღესაც უკუნე-
თია ღამდამობით, როგორც ნოეს დროსა.

როგორც სოფლები ისე ადმინისტრაციო
უყურადღებოთა სტოვებენ ყველა ამას და ათასჯერ
აღძრული ლაპარაკი ცარიელა ლაპარაკად რჩება.

არ მიუხედნია ახალქალაქისათვის არც რომე-
ლიმე საზოგადოებრივ ჯგუფსა; არც სამეურნეო სა-
ზოგადოებას, თუმცა ეს სოფელი დიდს და კარგს
მეზილეობის რაიონს წარმოადგენს.

ყველაზე მეტს კი ზარალობს სოფელი ხევები-
სა და თეძმისაგან, რომელთაც ყოველ გაზაფხულზედ
აუარებელი ვნება მოაქვთ.

მაგრამ ყველა ეს სასიამოვნო მოვლენა იფარე-
ბა იმით, რომ ახალქალაქსაც „ახალი კლუბი“ აქვს
და მრავლად მყოფი ამ სოფელში ბრწყინვალე თა-
ვალიშვილობა, ინტელიგენცია (ორი სკოლაა — სომ-
ხური და ქართული) და სხ. შიგ ირთობს თავსა
ლოტოთი და ქალაღდის თამაშით. კლუბს სათავე-
ში სდგომია ექიმი, ბებია ქალი და მისი მეუღლე.
ექიმი ხომ ისე გაუტაცნია კლუბის „იდეს“ (სწო-
რედ როგორც თბილისშია), რომ პაციენტებისათ-
ვის აღარა სცხელა და ყველას უკმეხად ისტუმრებს
თურმე, საიქიოს თუ არა, შინისაკენ მაინც. რო-
გორც კურიოზი მიაშვებს, რომ ბალკონიდან დურბინ-
დით შეხედავს ხოლმე ხანდახან ავადმყოფს, გასინ-
ჯვის მაგიერ და რეცეპტს ისე დაუწერსო. აი რა
განათლებლის ხანას შეესწრო ახალქალაქი და ყველა
იმედია მომავალშიც ასე იქნება, რადგან ბევრად
უფრო სასიამოვნოა კლუბის ფარნებთან ლოტოს
გროშების თვლა, ვიდრე სოფლის სანიტარულ
მდგომარეობისა და ავადმყოფების თვალყურის დევ-
ნება.

გზად გამვლელი.

დიღომი (თბ. მაზრა) დიღმის საკრედიტო და-
წესებულება, რომელსაც სათავეში მღ. სონლულა-
შვილი უდგას, როგორც ყველა სხვა სოფლისა,
ისეთ მდგომარეობაშია, რომ სოფლელი ერიდება
და შესანახი ფული იქ არ შეაქვს. აქაც იმ მიზე-
ზებმა იჩინეს თავი, რაც სხვაგან: სოფლელს ეში-
ნია, ვაი თუ თვითონ ბანკმა ვერ შეინახოსო; ეში-
ნია იმისაც, რომ გაუგებენ ფული — ჰქონიაო და
სესხით თუ მტაცებლობით აღარ მოუსვენებენ; და
ხანდახან კიდევ იგი არჩევს კერძოდ გაასესხოს და
თუმანზედ აბაზი ან ორი შაური მაინც აიღოს
თვეში, ვიდრე საკრედიტო დაწესებულებაში 5—
6 %.

რასაკვირველია, ყველა ამ მიზეზებს ფესვები
ჩვენი სოფლის საერთო უკულტურობაში აქვს და

მეტად ძნელი გასადევნი ხდება, რადგან რადიკალური გარდაქმნა სჭირია მთელს ფსიხიკას და საზოგადო წყობილებას. რაიმე დარიგებით და ქაღალტით მარტო ძნელია გაფართოვება იმ საქმისა, შენახვა-გაცემის ოპერაციებისა, რომლისთვისაც ხალხი ჯერ მომზადებული არ არის და მარტო სახელმწიფო ბანკის თანხით შორს ვერ წავა საკრედიტო ამხანაგობა; მით უფრო რომ სახელმწიფო ბანკი სრულიად უმიზეზოდ და მოულოდნელად აღიღებს სარკებლის გადაწყვეტ პროცენტს. აქამდის იყო 5 და ეხლა 6 გაგვიზადეს. შეიძლება, კიდევაც მოუმატონ და მაშინ თითქმის შეუძლებელი გახდება ბანკების არსებობა, რადგან თვითონაც თუ აუწია 10-ის მაშინ ხომ იაფი და ხელმისაწვდომი აღარ იქნება და აღარც სოფლისთვის მარგებელი, არც თავის ოპერაციების მოიმედვ. კარგი იქნებოდა პრესამ და საზოგადოებამ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას და ვისაც როგორ შეუძლიან იმოქმედოს პროცენტის დაკლებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისედაც ფეხმოუმარგებელი ამხანაგობანი იძულებულნი იქნებიან სულ დაიშალნენ და დაწყებულ საქმეს სამერმისოდაც ხალისი დაუკარგონ ხალხის თვალში.

ტ. მ — შვილი

ნ ა რ ე კ ი

ფრანგ ინჟინერს დელისონს გამოუგონია აპარატი, რომლის საშუალებით ერთგვარად თავისუფლად შეიძლება მოძრაობა როგორც ზღვაზე და მიწაზე, ისე ჰაერში. აპარატის ორიგინალობას ის შეადგენს, რომ კომბინაცია კი არ არის, ხმელზე, ზღვაზე და ჰაერში მოძრავ მანქანებისა, არამედ სულ ახალ პრინციპზეა აგებული. მისი ელისი ისეა გამართული, რომ აპარატში მჯდომს შეძლება აქვს, თვით მოძრაობის დროს — ფორმა შეუცვალოს და მოქნევის რაიონი გაუდიდოს ან დაუპატარაოს სურვილისამებრ. ეს უკანასკნელი თვისება ნებას აძლევს ყველა სფეროში, როგორც ჰაერში, ისე წყალში — ერთგვარის ძლიერებით იმოქმე-

დოს. გამოცდამ დაამტკიცა, რომ ყველაზედ სუსტად იძვრის აპარატი მიწაზე, რისთვისაც დელისონს განუზრახავს მისი გადაკეთება.



ერთ ინგლისელ მონადირეს, ინდოეთში ნადრობის დროს მიუკლავს ვეფხვი; როცა გაუტყა-ვებიათ, დამსწრენი გაუკვირვებია საოცარ მოვლენას: მთელი ტანი ნადირისა ბრქვიანობდა, როგორც ფოსფორი. ღამე ხალხი შეკრებილა და ღვთის სასწაულად ჩაუთვლიათ, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია თურმე. ერთ მოლას განუტყადა, რომ ეს საღეთო, წმინდა ვეფხვი იყო, სამოთხიდან გამოგზავნილი და ინგლისელებმა მოგვიკლესო. საწყალ მონადირეს ძლივს დაუხწყევია თავი სიკვდილისაგან. ადგილობრივ მეცნიერებს აუხსნიათ, რომ ეს ახალი ტიპია ცხოველისა — *Tigrus Phosforicus*. ორი დღის შემდეგ ვეფხვის ხორცს სრულიად დაუკარგავს ბრწყინვალეობა და გახრწნაც დაეწყო ინდოელების წმინდანს.



ეშმაკების განდევნა რუსეთში. გაზეთ „რეჩში“ ტრეგუბოვი აღწერს, თუ როგორ განდევნეს ეშმაკები პეტერბურგის ახლო, თოფის-წამლის საწყობებთან 20-ს მკათათვეს. ათასობით ხალხი შეიკრიბა წმ. პარასკეზას ეკლესიასთან, გატატულე-ბულ ავადმყოფ ქალს მიეწოდნენ ყმაწვილი კაცები მალლა ხატთან, თან თმებით აქეთ-იქით უხლიდნენ თავსა და უყვიროდნენ: „ემთხვეე პარასკეზას, განდევ ეშმაკო!“ ძალად ასხავდნენ პირში ავადმყოფს ნაკურთხს, ჭუჭყიან წყალს და ზეთსა.

ესე აწვალეზდნენ მთელს საათს და ბოლოს, როცა მიაგნეს დამნაშავეს „თვალის ცემისას“ — გადასცეს მშობლებს. ასევე მოექცნენ სხვა ავადმყოფებსაც და ეს გავრძელდა მთელ დღე და ღამეს. როცა ტბეგუროვი შეეკითხა, რათ ხდიან ავადმყოფებს, აუხსნეს, რომ ავადმყოფს ზედ არც ერთი ნასკვი არ უნდა ჰქონდეს, რადგან შიგ დაიმალება ეშმაკი და ავადმყოფი არ მორჩებაო.

